
თემა 17. ენერგეტიკული თანაზარდობანი ჭრების აპარატების შემთხვევაში ელემენტები

მთელი რიგი განსაკუთრებული თვისებები გააჩნიათ პარამეტრულ რეაქტიულ ელემენტებს, რომელთა ან ტევადობა $C(t)$ ან ინდუქციურობა $L(t)$ დროში იცვლება. ქვემოთ პარამეტრული მართვადი კონდენსატორის მაგალითზე ნაჩვენები იქნება, რომ განსაზღვრულ პირობებში ასეთი ელემენტები შეიძლება გამოვიდნენ „შუამავლის“ როლში, რომლებიც ენერგიის ნაწილს გადასცემენ გარე მმართველი წყაროებიდან, ე.წ. დატუმბების გენერატორებიდან წრედებს, რომლებიც ატარებენ სასარგებლო სიგნალს. ამ პრინციპზეა დაფუძნებული სიგნალების პარამეტრული გაძლიერება, რომელიც შეისწავლება მოძღვნო პარაგრაფში.

17.1. კავშირი კონდენსატორის ტევადობასა და დაგროვილ ენერგიას შორის.

რეაქტიულ პარამეტრულ წრედებში მიმდინარე პროცესების გასარკვევად განვიხილოთ C ტევადობისა და შემონაფენებს შორის x_0 დაშორების მქონე ბრტყელი კონდენსატორი, რომელიც დამუხტებულია U_0 ძაბვამდე. კონდენსატორს აქვს განცალკევებული მუხტი $q = CU_0$.

დაგუშვათ, რომ დრენო შემონაფენებს შორის მექანიკურად გაზრდილია $x_0 + dx$ სიდიდემდე (დრენოს გაზრდით კონდენსატორის ტევადობა მცირდება). გადაადგილება ხდება ელექტრული ველის იმ ძალის საწინააღმდეგო მიმართულებით, რომელიც ისწრაფის დაახლოვოს შემონაფენები. ამიტომ გარე ძალები ასრულებენ რაღაც დადებით მუშაობას და ველის ენერგიის მარაგი კონდენსატორში იზრდება.

იმისათვის, რომ მივიღოთ რაოდენობრივი შეფასებები, შევნიშნოთ, რომ კონდენსატორის საწყისი ენერგია $E = q^2 / (2C)$. თუ ტევადობამ მიიღო ნაზრდი dC , მაშინ ენერგიის ნაზრდი

$$dE = -\frac{q^2}{2C^2} dC = -E \frac{dC}{C}, \quad (5.21)$$

რამდენადაც გამტარობის დენი არ გვაქს და მუხტი q არ არის შეცვლილი. C ტევადობის გამოთვლით ცნობილი ფორმულით ბრტყელი კონდენსატორისათვის $C = \varepsilon_0 S / x_0$ (S - შემონაფენის ფართობია, ε_0 - ელექტრული მუდმივა

$\varepsilon_0 = 10^{-9} / (36\pi) = 8.842 \cdot 10^{-12}$ ფ/მ), გვაქვს ტევადობის ფარდობითი ნაზრდის შემდგენ გამოსახულება $dC/C = -dx/x_0$, საიდანაც

$$\text{კონდენსატორის } \text{ენერგიის } \text{ნაზრდი } dE = E \frac{dx}{x_0}.$$

როგორც მოსალოდნელი იყო, ელექტრული ველის ენერგიის მარაგის გასაზრდელად სისტემაში აუცილებელია გარე ფაქტორების ხარჯზე შევამციროთ დამუხტული კონდენსატორის ტევადობა.


17.2 რხევითი კონტურის პარამეტრული აღგზება

თუ მუხტის სიდიდე კ მუდმივია, მაშინ შეუძლებელია მიგალწიოთ ენერგიის უწმაბმ მოწოდლას იზოლირებულ კონდენსატორში მისი ტევადობის პერიოდული ცვლილებით რადაც საშუალო მნიშვნელობის ირგვლივ. დატუმბვის გარე წყარო, რომელმაც დაასრულა დადგებით მუშაობა დროის მონაკვეთზე, როცა ტევადობა მცირდებოდა, კონდენსატორიდან უკან მიიღებს ენერგიის ზუსტად იგივე პორციას ტევადობის გაზრდის პროცესში. ამიტომ პერიოდის მანძილზე გასაშუალოებული დატუმბვის ენერგია იქნება ნულის ტოლი.

სხვა სურათი შეიმჩნევა რხევით სისტემაში, სადაც ძაბვა კონდენსატორზე იცვლის ნიშანს ნულზე გადასვლისას.

განვიხილოთ ვარგისი რხევითი კონტური, რომელიც შექმნილია მუდმივი ინდუქციურობით L , პარამეტრული ტევა-


დობით $C(t)$ და დანაკარგების წინადობით



R (ნახ. 17.1). დაგუშვათ, რომ კონტურში რაიმე გზით აღგზებულია საკუთარი რხევები. უგულებელვყოფთ რა რხევების ამჰლიტუდის უმნიშვნელო შემცირებას დანაკარგების გამო, ჩავთვალოთ, რომ U_{mC} არის კონდენსატორზე ძაბვის ამჰლიტუდა, რომელიც

ნახ. 17.1 იცვლება დროში საკუთარი რხევების სისმირით $\omega_{\text{ხა}} = 1/\sqrt{LC_0}$. აქ C_0 ტევადობის საშუალო მნიშვნელობაა.

დაგუშვათ, კონდენსატორის ტევადობა პერიოდულად იცვლება შემდეგნაირად (ნახ. 17.2) : ორჯერ საკუთარი რხევების პერიოდის მანძილზე დროის იმ მომენტებში, როცა ძაბვა კონდენსატორზე ექსტრემალურია, ტევადობა ნახტომისებურად მცირდება სიდიდით AC . დაბრუნება საწყის მდგომარეობაში, ე. ი. ტევადობის დადგებითი სხვაობა გადის ნულზე.



ნახ. 17.2

ასეთი დატუმბვის დროს შესამჩნევი ხდება ენერგიის ერთმიმართულებიანი მიწოდება რევით კონტურში. მართლაც, გარე ძალების მუშაობა, რომელიც სრულდება ტევადობის უარყოფითი სხვაობების მოქმედებში, ყველთვის დადებითია შემონაფენებზე ძაბვის ნიშნის მიუხედავად. ტევადობის დაბრუნება საწყის მდგომარეობაში დასრულდება დროს მომენტებში, როცა ძაბვა კონდენსატორზე ნულის ტოლია, ე. ი. ენერგიის ხარჯვის გარეშე.

აქ გათვალისწინებულია, რომ ენერგია მიეწოდება კონტურს მრავე საკუთარი რხევების პერიოდში

თუ

$$E_{max} = \frac{1}{2} U_{mC}^2 (C_0 + \Delta C / 2) \approx \frac{1}{2} U_{mC}^2 C_0$$

კონდენსატორში დაგროვებული მაქსიმალური ენერგიაა, მაშინ (5.21) ფორმულის თანახმად საკუთარი რევენტის პერიოდის მანძილზე სისტემა მიიღებს დატუმბვის ენერგიას

$$E_{დატ} = 2E_{max} \Delta C / C_0 = U_{mC}^2 \Delta C. \quad (5.22)$$

ამავე დროს კონტურში დანაკარგის (დან.) საშუალო სიმძლავრე

$$P_{დან} = \frac{1}{2} I_m^2 R = \frac{1}{2} U_{mC}^2 R / \rho^2 = \frac{1}{2} U_{mC}^2 / (\rho Q), \quad (5.23)$$

სადაც $R = \rho / Q$. (მეცნიერებაში მიიღება $\rho \omega_{კონტურის} = 1 / C_0$).

ენერგია, რომელიც რევით T პერიოდში დანაკარგის სახით იფანტება რეზისტორზე, შეადგენს სიდიდეს

$$E_{დან} = P_{დან} T = U_{mC}^2 C_0 \pi / Q. \quad (5.24)$$

თუ სრულდება ტოლობა $E_{დატ} = E_{დან}$, (5.25)

მაშინ დატუმბვის წყაროს მოქმედების ხარჯზე ხდება კონტურში დანაკარგების კომპენსაცია. თუ $E_{დატ} > E_{დან}$, მაშინ სისტემა ხდება არამდგრადი და რხევების ამპლიტუდა კონტურში ექსპონენციალურად გაიზრდება, ე.ი. მოხდება რევითი სისტემის პარამეტრული აღგზება. (5.22) და (5.24)-დან გამომდინარეობს თანაფარდობა, რომელიც განსაზღვრავს ტევადობის ფარდობითი ცვლილების კრიტიკულ მნიშვნელობას:

$$\Delta C_{\text{ჯ}} / C_0 = \pi / Q . \quad (5.26)$$

$\Delta C_{\text{ჯ}}$ მნიშვნელობები, როგორც წესი, დიდი არ არის. მაგალითად, $C_0 = 20 \text{ პფ}$ $Q = 100$ პარამეტრებიანი კონტურის პარამეტრული აღგზებისათვის საკმარისია გვერდებს $\Delta C = 0.63 \text{ პფ}$.


მართვადი ტევადობის ქმონე კონტურის აქ მოყვანილი კერძო მაგალითის ანალიზი ჩატარებულია დაშვებით, რომ დატუმბვის სიგნალი იცვლის კონდენსატორის ტევადობას ორჯერ საკუთარი რხევების პერიოდის მანძილზე. მაგრამ ადვილად დავინახავთ, რომ რხევითი სისტემის პარამეტრული აღგზების ეფექტი შესამნევი იქნება მაშინაც, როცა დატუმბვის არაპარმონიული ძაბვის ძირითადი სიხშირე $\omega_{\text{დაბ}} = \omega_{\text{საკ}} / n, n = 1, 2, \dots$. მნიშვნელოვანია მხოლოდ, რომ დატუმბვის სიგნალის სპექტრში არსებობდეს საკუთარი მდგრადი სიხშირით $2\omega_{\text{საკ}}$.

(ეს არის მოთხოვნები დატუმბვის გენერატორის მიმართ, რომლიც უზრუნველყოფს რხევითი კონტურის პარამეტრულ აღგზებას)

პარამეტრული გენერატორის მუშაობისათვის მოთხოვება აგრეთვე, რომ აღგზების პროცესში კონტურის საკუთარ რხევებსა და დატუმბვის გენერატორის რხევებს შორის აღგილი პქონდებს მკაცრ ფაზურ თანაფარდობებს. საკმარისია დავძრაოთ დატუმბვის სიგნალი ფაზით პერიოდის ნახევარზე, რომ ტევადობის დადებითი სხევაობა აღმოჩნდება დროის იმ მომენტებზე, როცა ძაბვა კონდენსატორზე გადის ექსტრემუმებზე. ამასთან პარამეტრული კონდენსატორი უმკვეთ კი აღარ მიაწოდებს ენერგიას კონტურს, არამედ დაიწყებს დამატებითი რეზისტიული დატვირთვის როლის შესრულებას.

17.3. კაგშირი ძაბვასა და დენს შორის არაპარამეტრულ კონდენსატორზე.

განვიხილოთ წრედი (ნახ. 17.3), რომელსაც ქმნის სიგნალის ძაბვის წყარო $u(t) = U_m \cos(\omega_b t + \varphi_b)$ და მართვადი

 კონდენსატორი, რომლის ტევადობა იცვლება დროში ჰარმონიული კანონით დატუმბვის სიხშირით:

$$C(t) = C_0 [1 + \beta \cos(\omega_{\text{დაბ}} t + \varphi_{\text{დაბ}})], \quad (5.27)$$

ნახ. 17.3 სადაც β არის კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს ტევადობის მოდულაციის სიფრმეს.

კინაიდან მუხტი კონდენსატორზე $q = C(t)u$, დენი წრედში

$$i(t) = \frac{dC}{dt}u + C \frac{du}{dt} =$$

$$= -\beta\omega_{\text{დაბ}}C_0U_m\sin(\omega_{\text{დაბ}}t + \varphi_{\text{დაბ}})\cos(\omega_b t + \varphi_b) - \omega_b C_0U_m\sin(\omega_b t + \varphi_b) -$$

$$-\beta\omega_b C_0U_m\cos(\omega_{\text{დაბ}}t + \varphi_{\text{დაბ}})\sin(\omega_b t + \varphi_b) \quad (5.28)$$

თუ ვისარგებლებთ ტრიგონომეტრის ცნობილი ფორმულით $\cos x \sin y = 1/2[\sin(x+y) - \sin(x-y)]$, (12.28) ფორმულის მარჯვენა ნაწილის პირველი და მესამე შესაკრებების ნამრავლები შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც:

$$\begin{aligned} &\sin(\omega_{\text{დაბ}}t + \varphi_{\text{დაბ}})\cos(\omega_b t + \varphi_b) = \\ &= (1/2)\{\sin[(\omega_b + \omega_{\text{დაბ}})t + \varphi_b + \varphi_{\text{დაბ}}] - \sin[(\omega_b - \omega_{\text{დაბ}})t + \varphi_b - \varphi_{\text{დაბ}}]\}, \quad (5.29) \end{aligned}$$

$$\begin{aligned} &\cos(\omega_{\text{დაბ}}t + \varphi_{\text{დაბ}})\sin(\omega_b t + \varphi_b) = \\ &= (1/2)\{\sin[(\omega_b + \omega_{\text{დაბ}})t + \varphi_b + \varphi_{\text{დაბ}}] - \sin[(\omega_{\text{დაბ}} - \omega_b)t + \varphi_{\text{დაბ}} - \varphi_b]\}. \quad (5.30) \end{aligned}$$

შედეგად

$$\begin{aligned} i(t) &= -\omega_b C_0U_m\sin(\omega_b t + \varphi_b) + \\ &+ (1/2)\beta C_0U_m\cos(\omega_b - \omega_{\text{დაბ}})\sin[(\omega_{\text{დაბ}} - \omega_b)t + \varphi_{\text{დაბ}} - \varphi_b] - \\ &- (1/2)\beta C_0U_m\cos(\omega_{\text{დაბ}} + \omega_b)\sin[(\omega_{\text{დაბ}} + \omega_b)t + \varphi_b + \varphi_{\text{დაბ}}]. \quad (5.31) \end{aligned}$$

ეს გამოსახულება აღგენს პარამეტრულ კონდენსატორში დენის სპექტრალური დიაგრამის სახეს. სპექტრი, გარდა მდგრენდისა სიგნალის სიხშირეზე, შეიცავს ორ გვერდით რხევას სიხშირეებით $\omega_b - \omega_{\text{დაბ}}$ და $\omega_b + \omega_{\text{დაბ}}$.

17.4 საშუალო სიმძლავრე, მოთხოვნილი პარამეტრული კონდენსატორით სიგნალის სიხშირეზე

წრედების თეორიიდან ცნობილია, რომ სიმძლავრის რადაც საშუალო ნაკადის არსებობისათვის წყაროდან დატვირთვის კენ მოითხოვება, რომ პარმონიულ რეჟიმში დენისა და ძაბგას შორის ფაზის ძვრა იყოს 90° – ისაგან განსხვავებული.

(ზოგადად, საშუალო სიმძლავრე, მოხმარებული ორპოლუსას მიერ, გამოითვლება ფორმულით $P = UI / 2 \cdot \cos \varphi$, სადაც φ - დენსა და ძაბგას შორის ფაზათა ძერის კუთხი).

როგორც (5.31) ფორმულიდან ჩანს, დენის შემადგენლობაში, რომელიც გადის პარამეტრულ კონდენსატორში, ყოველთვის არსებობს რეაქტორული მდგენელი სიგნალის სიხშირეზე:

$$i_{\text{რე}}(t) = -\omega_b C_0 U_m \sin(\omega_b t + \varphi_b).$$

ეს დენი, რომელიც იმყოფება დროით კვადრატურაში წყაროს ძაბვასთან, საშუალოდ არ გამოყოფს სიმძლავრეს. თუმცა შესაბამისი დატუმბვის სიხშირის არჩევისას შეიძლება მივაღწიოთ დენის კიდევ ერთი მდგენელის გაჩენას სიგნალის სიხშირით. როგორც (5.29) და (5.30) გამოისახულებებიდან ჩანს, ამისათვის საკმარისია დავუშვათ $\omega_{\text{დაბ}} = 2\omega_b$. მაშინ დენს პარამეტრულ კონდენსატორში ექნება მდგენელი, რომელსაც დავარქვათ **სახარგებლოვანი სახარგებლოვანი**:

$$i_{\text{ბას}}(t) = -(1/2)\beta\omega_b C_0 U_m \sin(\omega_b t + \varphi_{\text{დაბ}} - \varphi_b). \quad (5.32)$$

სასარგებლო მდგენელის მყისიერი სიმძლავრე

$$p_{\text{ბას}}(t) = u(t)i_{\text{ბას}}(t) =$$

$$= -(1/2)\beta\omega_b C_0 U_m^2 \cos(\omega_b t + \varphi_b) \sin(\omega_b t + \varphi_{\text{დაბ}} - \varphi_b) =$$

$$= -(1/4)\beta\omega_b C_0 U_m^2 [\sin(2\omega_b t + \varphi_{\text{დაბ}}) - \sin(2\varphi_b - \varphi_{\text{დაბ}})].$$

სახარგებლო მდგენელის სიმძლავრე, გასაშუალოებული სიგნალის პერიოდში

$$P_{\text{ბას.ბას}} = \frac{1}{T_b} \int_0^{T_b} p_{\text{ბას}}(t) dt = (1/4)\beta\omega_b C_0 U_m^2 \sin(2\varphi_b - \varphi_{\text{დაბ}}). \quad (5.33)$$

17.5. პარამეტრული კონდენსატორის ჩანაცვლების სქემა


ფორმულა (5.33) მოწოდებს იმას, რომ შესახველელი სიგნალის წყაროსა და დატუმბვის რხევების გენერატორის საწყის ფაზებს შორის თანაფარდობების მიხედვით საშუალო სიმძლავრის მნიშვნელობა შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი. ამიტომ შესაბამისი φ_b და $\varphi_{\text{დაბ}}$ ძუთხევების არჩევის დროს შესაძლებელია რეჟიმი, როცა პარამეტრულად მართვადი კონდენსატორი იქცევა აქტიური ელემენტის მსგავსად, რომელიც კი არ მოიხმარს, არამედ, შესასვლელი სიგნალის სიხშირეზე, წრედს აწვდის სიმძლავრეს.

თემა 17. გენერატორების თანაზარდობანი წრედის პარამეტრულ რჩაქტიულ გლეხენტები

$\Phi = 2\varphi_b - \varphi_{\text{დაბ}} \quad \text{კუთხის } \Phi \text{ შემოტანით ჩავწეროთ კონდენსატორ-ში რხევითი პროცესის საშუალო სიმძლავრის გამოსახულება შემდეგი სახით } P_{\text{სას.საშ}} = U_m^2 / (2R_{\text{შიდ}}).$

$$\text{აქ} \quad R_{\text{შიდ}} = 2 / (\beta \omega_b C_0 \sin \Phi) \quad (5.34)$$

- აქტიური წინადობაა, რომელიც შემოაქვს მოცემულ ელემენტების წრედში. პარამეტრული კონდენსატორის ჩანაცვლების სქემა,

რომელიც იმართება დატუმბვის წყაროთი სიგნალის გაორკეცე-


ბული სისშირით, წარმოადგენს C_0 ტევადობისა და $R_{\text{შიდ}}$ წინადობის პარალელურ შეერთებას (იხ. ნახ. 17.4). იმისათვის, რომ ეს ელემენტი იქცეოდეს ისე, როგორც გუნერატორი, აუცილებელია გვერდების გაქონდეს აქტიური წინადობის უარყოფითი მნიშვნელობა.